პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 23 აგვისტო № 194 (17837) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

რთველი—80 კარგია!

ჩვეულებრივ ცხელმა ზაფხულმა ნაადრევად შეთვალა ყურძენი. მზეჩამდგარი კუმსი მტევნებით დაიხუნძლა ვაზი. მალე, სულ მალე რთველი-80 მოვა. სართველოდ აფუსფუსდება მთელი რესპუბლიკა. გაზეთებში, პირველ გვერდზე ტრადიციულ ადგილს დაიკავებს მევენახეობის რაიონების სია, რომელიც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მეზვრეთა დიდ, თავგამოსაჩენ, ჯერ არნახულ საქმეებს. გამარჯე მეზვრე ერთხელ კიდევ დატკბება თავისი ოსტატობით გამოწვეული სიამაყით. საამაყო კი მას, უწინარეს ყოვლისა, ისა აქვს, რომ სამშობლოს მარანში 770 ათასი ტონა ყურძნის მიტანას გვპირდება.

ამ რეკორდული მოჯნის მისაღწევად თავი არ დაუზოგავთ ჩვენს სახელოვან მევენახეებს. მთელი წლის მანძილზე ჯარასავით დასტრიალებენ ვაზს, მამაცურად ებრძვიან ავდარს, გვალვას, სეტყვას და თავიანთი ოფლითა და მარჯვენით მოსაგარს არ ანებებენ სტიქიას.

თუმცა გამოცდილმა მეზვრემ კარგად იცის, რომ საბირნახულო ლაშქრობის მთავარი ეტაპი ჯერ წინ არის. წინ არის სჯახირო და საშური საქმე — რთველი, რომელმაც მევენახის მარჯვენა უნდა გამოსცადოს.

ამიტომ არის, რომ ახლა საქართველოს მევენახეთა მთელი არმიის ფიქრი რთველს დასტრიალებს, დიდი გამოცდილთვის თაყანიგს იჭერს, რათა რთველის ყოველი საათი, რომელსაც ოქროს ფასი აქვეს, ულრეველ სწრაფ დაბინავებას, ნაშრომის გაფრთხილებას მოხმარდეს, თორემ ავად სახსენებელ სეტყვას შეუძლია სულ რამდენიმე წუთში მთელი წლის ნაამაგარი ხელიდან გამოგვაცალოს.

ეს სულისკვეთება სუფევდა კახეთის ზონის მევენახეთა და ყურძნის მრეწველების მუშაკთა თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა სიღნაღში. აქ პირდაპირ თქვეს, რომ წლევანდელი დიდი რთველი გადაწყვეტს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ხუთწლიანი და მომდინარე წლის გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულების ბედს. ამდენად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იმ ღონისძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო მარანში წლის მოსავლის უკლებლივ მიტანას და დროულ გადამუშავებას.

ყოველივე ეს მერთვლეს, ტრანსპორტელს, მეღვინეს ავალებს რთველის სანიმუშო მოწყობისათვის ამთავითვე ყველა დეტალი გაითვალისწინონ, რათა ერთი წუთითაც არ შეფერხდეს მუშაობა კონვეიერის „ვენახი-ტრანსპორტი-ღვინის ქარხანა“.

ზონალურმა თათბირმა საჭიროდ მიიჩნია მეურნეობებში ახლავე ჰქონდეთ შემუშავებული ყურძნის რიტმული, შეუფერხებელი კრეფის გრაფიკი „რთველი-80“ ავტომატიზებული სისტემის მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინებით. ახლავე უნდა იყოს მოფიქრებული, რით და როგორ დავაინტერესებთ მევენახეებსა და ტრანსპორტელებს, რომ დროულად, უდანაკარგოდ დაიბინაონ მოსავალი. ჯეროვნად უნდა დაფასდეს კეთილსინდისიერი, თავდადებული მერთველის გარჯა, ხოლო მას, ვინც მოსავალს გაანიავებს, მკაცრად უნდა მოვკითხოთ.

მევენახეებმა წლეულს საგანგებოდ მოუარეს ზვრებს, მაგრამ ცოტა რადია ბალახმორეული, დაავადებული, უყურადღებოდ მიტოვებული ვენახი. ამ ნაკვეთებში ყურძნის კრეფის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას, პროდუქციის ხარისხს. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის. შარშან რესპუბლიკაში ზოგმა მეურნეობამ იმდენად არაკონდიციური ყურძენი ჩააბარა, რომ მისგან არათუ მშრალი სუფრის ღვინოების, საკონიაკე მასალის მიღებაც კი შეუძლებელი იყო. უსტანდარტო ყურძნის წარმოების შედეგად მევენახეები ყოველწლიურად მილიონობით მანეთს ზარალობენ.

ასეთ ვითარებაში ყურადღებას და საყოველთაო მხარდაჭერას იმსახურებს ყურძნის ხარისხის ამაღლების გურჯაანელთა თაოსნობა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისაბაძ მაგალითად დაუსახა რესპუბლიკის მევენახეებს.

ამ თაოსნობის მიხედვით, რომლის არსი უზადო ნედლეულის წარმოება და მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენებაა, დამზადების გეგმა რეალიზებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყურძნის საგეგმო რაოდენობასთან ერთად პირობითი შაქრის დაგროვების გეგმაც შესრულდება.

არანაკლებ საყურადღებოა რთველის ორგანიზებულად მოწყობის თელაველთა გამოცდილება. რესპუბლიკის ყველა მევენახეობის რაიონის კუთვნილება უნდა გახდეს რთველის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომლის დანერგვით მიღებული ეკონომიის საერთო თანხამ შარშან თელავის რაიონში 152,7 ათასი მანეთი შეადგინა. ეს სიახლე, რომელსაც წელს კახეთის ყველა რაიონი იყენებს, ამცირებს მოთხოვნილებას ავტოტრანსპორტზე, ზრდის ყურძნის მკრეფავდა შრომის ნაყოფიერებას, ამოკლებს რთველის ვადებს, ხელს უწყობს ვენახის სამუშაოთა დროულ შესრულებას და, რაც მთავარია, პირველადი ღვინომასალის ხარისხის გაუმჯობესებას.

სისტემის ყველა ეს სიკეთე მთელი სიხრულით გამოვლინდება და რთველის წარმართვაში მეტ ორგანიზებულობას შეიტანს მაშინ, როცა ამ სისტემის დონემდე ამაღლდება ყოველი მისი მონაწილე და მთელი სერიოზულობით მოეკიდება მის შეუფერხებელ მუშაობას.

წლევანდელი რთველი ყველა ადრინდელზე უდიდესია და ყურძენიც იმდენი მოიკრიფება, რამდენიც არასოდეს დაბინავებულა რესპუბლიკის მარანში; წლეულს მევენახეები შარშანდელზე 192 ათასი ტონით მეტი ყურძნის დამზადებისათვის იბრძვიან, რათა აინაზღაურონ გასული წლების დანაკლისი და შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალება. ამ გადიდებული ვალდებულების რეალიზაციისათვის, როგორც ყოველთვის, გმირული შემართებით, გაბარჯვების მტაცეცე რწმენით იჩქარებიან გურჯაანელები, რომელთა რეკორდული მოჯნა წლეულს 140 ათასი ტონა ყურძენია. შარშანდელზე ორჯერ მეტი ყურძნის მოკრეფას აპირებენ წითელწყაროელი მევენახეები, ხოლო მთლიანად კახეთის ზონის რაიონები ვარაუდობენ 140 ათასზე მეტი ტონით გადაამეტონ გასული წლის დონეს.

დიდი რთველისათვის გულმოდგინედ ემზადებიან ღვინის მრეწველობის მუშაკებიც. ისინი ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ნედლეულის ორგანიზებული მიღება-გადამუშავებისთვის. რესპუბლიკის ღვინის ქარხნების ყურძნის გადამუშავების სიმძლავრე გაიზრდება 150 ათასი ტონით, დამატებით დაიდგმება 80 კომპლექტი ყურძნის გადამუშავების ხაზი, რომლის წარმოებლობა საათში 20 ტონა იქნება; ამოქმედდება პირველადი მეღვინეობის ახალი ქარხნები, მოხდება ძველ საწარმოთა რეკონსტრუქცია; დამონტაჟდება ახალი დანადგარები და მოწყობილობანი.

მიუხედავად ამისა, მოსალოდნელი უხვი მოსავლის შეუფერხებელი გადამუშავებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი ავტოტალ და ყვარლელ მეღვინეებს, ჭიანურდება საღვინე ჭურჭლის მონტაჟი, რთველი კი კარზეა მომდგარი.

ეს უნდა შეეხსენოთ საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროსაც, რომელმაც ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში დაამთავროს მუკუზნის № 2, წნორისწყლის პირველადი მეღვინეობის ქარხნების და თერჯოლის სამარკო ღვინოების საცავის რეკონსტრუქცია.

თავის მხრივ მერთვლეებისადმი უფრო აქტიური დახმარება მართებთ თბილისის დიმიტროვის სახელობის და ბათუმის მანქანათმაშენებელი ქარხნების კოლექტივებს, რომლებსაც შესაბამისად შარიანობის გამმსაზღვრელი კომპლექტებისა და ცისტერნების დამზადება ევალებათ. საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად უზრუნველყოფს „საქსახსოფლტექნიკა“ რთველის მონაწილეებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და მათ როგორ ეფექტიანად გამოიყენებენ მერთვლეები.

ახლა განსაკუთრებით რთველის მონაწილეებმა უნდა გამოავლინონ ერთსულოვნება და შემართება. მათ მხარში უნდა ამოუდგნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო-დამუშავებულებთა მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა.

პარტიული ორგანიზაციების, მეურნეობათა ხელმძღვანელების მუშაობის მთავარი უბანი უნდა გახდეს ვენახი, ღვინის ქარხანა. რთველის დროს ფართოდ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო საბოლოო შედეგისათვის.

ეჰვი არ არის, ეს საბოლოო შედეგი იქნება სწორედ ის მიჯნა, რომლის დალაშქვრისათვის თავდაუზოგავად იბრძვიან ჩვენი ახალგაზრდა მევენახეები და ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

მახარაძე

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1980 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებულთა შორის დასახელებულია მახარაძის საბურავების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელსაც მეორე ფულადი პრემია მიეკუთვნა.

ქარხანა ამაყობს თავისი მოწინავე მუშებით, რომელთა შორის არიან თ. ხელაძე, დ. გოგიტიშვილი და ბ. სიხარულიძე, რომლებიც დღიური საწარმოო დავალებებს 130-150 პროცენტით ასრულებენ და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

ნ. ქერქაძე,
პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ონი

წელს საზოგადოებრივი პირუტყვისათვის უნდა დამზადდეს 25 ათასი ტონა თივა, 3 ათასი ტონა სენაჟი, 2 ათასი ტონა სილოსი. ამ ამოცანის გადაწყვეტა მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკებს გაუჭირდებათ. ამიტომ მათ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხარში ამოუდგნენ შეფები — წარმოება-დაწესებულება თ ა კოლექტივები.

პირუტყვის საკვების დამზადებისათვის ბრძოლაში ყველაზე მეტად ისახელა თავი საგზაო უბანმა და ჩორდის გეოლოგიურმა პარტიამ. პირველმა 50 ტონა სენაჟი დაამზადა, მეორემ კი — 37,5 ტონა.

ვ. ციბერკიძე.
სოფ. კორ.

23-24 აგვისტოს ეწყობა სანაყვერალო კულტურების ნათესების რესპუბლიკური დათვალიერება

საკვებწარმოების რეზერვი

რესპუბლიკაში წლეულს სანაწვერალო კულტურები დათესილია 30.975 ჰექტარზე. ამ ნათესების სანიმუშო მოვლით, დროული კულტივაციითა და მორწყვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ დამატებით მიიღონ ათიათასობით ტონა საკვები, ზოგან კი მარცვლეულიც.

ამ მიზნით 23-24 აგვისტოს რესპუბლიკაში იწყობა სანაწვერალო კულტურების ნათესების დათვალიერება. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და სხვა უწყებათა სპეციალისტები და ხელმძღვანელები. დათვალიერების შედეგებს განიხილავენ პარტიის რაიკომების ბიუროები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია.

ენგურჰესის მშენებლობაზე



ენგურჰესის მშენებლებმა ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში უპატაჟეს სამშობლოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ათვისების ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

საექსპლუატაციოდ გადაეცა მილიონ ორმოცი ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ოთხი აგრეგატი. მშენებლებმა გადაწყვიტეს ვადამდე 1980 წლის 7 ოქტომბრისათვის საექსპლოატაციოდ „ფრიადი“ შეფასებით გადასცენ ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის უკანასკნელი, მეხუთე აგრეგატი, დამატებით შეასრულონ 1,5 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები და გათვალისწინებულს გადაჭარბებით დაზოგონ 100 ათასი მანეთის საშენი მასალა.

□

სურათებზე: ასე გამოიყურება დღეს ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხალი; ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი ოთარ ჭითანავა (მარცხნივ) და მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს კომუნისტების წინამძღოლი კუკური კვირკველია.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

მანავი: სასოფლო საბჭოს თაოსნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბარათაშოს რაიონის მანავის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრეს უფრო სრულად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის რეზერვები, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველზე გაზარდონ მინდვრებისა და ბაღვენახების მოსავლიანობა, ვაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მანაველთა პატრიოტული თაოსნობა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რჩევა მიეცა გაუწიოს მანავის სასოფლო საბჭოს პრაქტიკული დახმარება მშრომელთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობის ორგანიზაციაში. აღინიშნა აგრეთვე, რომ უნდა უზრუნველყონ მანავის სასოფლო საბჭოს მშრომელთა თაოსნობის განხილვა და მხარდაჭერა რესპუბლიკის ყველა სასოფლო საბჭოს მშრომელთა მიერ.

მანავის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობს მანავისა და თოხლიაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობანი. ბოლო წლებში ამ მეურნეობათა ზვრებს 390 ჰექტარი შეემატა. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.300 ტონა ყურძენი — გეგმით გათვალისწინებულზე მეტი. საგრძნობი დადებითი ძვრები მოხდა აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში. გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება და დამზადება.

სასოფლო საბჭოში წარმატებით წყდება სოციალური ამოცანები. მიმდინარე ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე აშენდა საბავშვო ბაღი, რვაწლიანი სკოლა, საშუალო სკოლის ახალი კორპუსი, მაღაზიები, დამთავრდა სოფლის ტელეფონიზაცია, სულ მალე მწყობრში ჩადგება წყალსადენი.

სოფლსაბჭოს მშრომელებმა, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული 7.500 ტონის ნაცვლად დაამზადონ 10 ათასი ტონა ყურძენი, აქედან 4.500 ტონა ძვირფასი სამრეწველო ჯიში — მანავის მწვანე. საკარმიდამო ნაკვეთებიდან ჩაბარებული ყურძნის რაოდენობა ორი ათას ტონას შეადგენს.

მანაველთა ვალდებულებები გათვალისწინებულია არა მარტო მიმდინარე, არამედ, აგრეთვე მომდევნო წლებისთვისაც. მაგალითად, უახლოეს ორ წელიწადში ვალდებულებით გათვალისწინებულია შემცირდეს ვენახების სიმეჩხრე მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 18-დან 5 პროცენტამდე, ხოლო თოხლიაურის საბჭოთა მეურნეობაში — 21-დან 7 პროცენტამდე. 25 ათას ძირ ვაზს დარგავენ გზისპირა ნაკვეთებში, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 85 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამ და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაიზრდება ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, რომელიც 1985 წელს მანავის საბჭოთა მეურნეობაში მიაღწევს 100 ცენტნერს, ხოლო თოხლიაურის საბჭოთა მეურნეობაში — 85 ცენტნერს.

დიდი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გასადიდებლად, კერძოდ, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში. მაგალითად, გასულ წელთან შედარებით დასახულია გაიზარდოს ძროხის რაოდენობა მუშათა პირად მეურნეობებში 250 სულით, ნეზვისა — 500 სულით.

მანაველებს თავიანთ უდიდეს სიმდიდრედ მიაჩნიათ მინა. მათ დაგეგმილი აქვთ წელს აითვისონ 20 ჰექტარი მიგდებული და გამოუყენებელი მიწები, ხოლო მომავალ ხუთწლედში — კიდევ 80 ჰექტარი და გააშენონ ამ მიწებზე ახალი ზვრები. მანაველებმა გადაწყვიტეს მთის ზონაში დარგონ 20 ჰექტარ ფართობზე კურკოვანი ხეხილი და კაკალი.

საბჭოთა მეურნეობების მუშაობა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტილია გააკულტურონ 75 ჰექტარი სათბ-საძოვარი. გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს თითვისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის განკუთვნილი სხვა საკვების დამზადების გადიდებას. დაგეგმილი აქვთ ივრის ნაპირზე მემინდვრეობისათვის გამოუსადეგარ ორ ჰექტარ ფართობზე შეიქმნას წყალსაცავი მცირე მელიორაციის საჭიროებებისათვის.

მანაველებმა აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განმტკიცების ღონისძიებებიც გათვალისწინეს. ყოველი მუშის, სპეციალისტისა და მოსამსახურის ეზოში დაირგება 10-15 ძირი თუთა.

ისევე როგორც მიმდინარე ხუთწლედში, სოფლსაბჭო მომავალშიც დიდ ყურადღებას დაუთმობს სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტას. გათვალისწინებულია გაიბარდოს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პიონერთა და მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ბანაკის, ორი დასასვენებელი პავილიონის, ორი სკვერის, სამი ტყეპარკის მშენებლობის მოცულობა და ა. შ. ამ მიზნით აგავარებენ საშენ მასალათა წარმოებას: აშენდება კირის ქარხნები, გაიხსნება ქვის კარიერები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგის შეაჯამებენ 23 თებერვლისათვის — სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დაწყების დღისათვის.

საწარმოს მეორე სიცოცხლე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ — ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

უკვე რამდენიმე წელია დიდი წარმატებით გრძელდება რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის უძველესი საწარმოს—კასპის ცემენტისა და შიფერის კომბინატის გენერალური რეკონსტრუქცია. თავისი არსებობის 50-ე წლისთავს, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში აღინიშნება, საწარმო საკმაოდ განახლებული ხვდება. რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოთა დიდი ნაწილი განხორციელდა. მწყობრშია 2000 კუბური საერთო ტევადობის სამბობ-საცავი რეზერვუარი, სატუმბავი სადგური მძლავრი მაზუთგამახურებლებით, მილგაყვანილობა ესტაკადებით.

რეკონსტრუქციის პროექტი შეადგინა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხარკოვის საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა, და საკმაოდ მაღალ დონეზე. მიუხედავად ამისა, ქარხნის რაციონალიზატორებმა შეძლეს პროექტში ზოგიერთი კორექტივის შეტანა და ამით უფრო დახვეწეს იგი. პროექტით, მაგალითად, ცისტერნებიდან მაზუთის ჩამოსხმა ღია წესით იყო გათვალისწინებული, რაც მთელ რიგ ტექნიკურ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ინჟინერ ბ. ფარცხალაძის წინადადებით ეს საკითხი მშვენივრად გადაწყდა: მძლავრი ტუმბოები მილების საშუალებით სათბობს ცისტერნიდან პირდაპირ რეზერვუარებში ტუმბავენ. გამოირიცხა სათბობის გაჟეტყიანება, დანაკარგები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ათჯერ შემცირდა ეკონომების დაცლისათვის გათვალისწინებული დრო.

ამ მოკლე ხანებში აქ დანერგილი მრავალი სიახლიდან ყურადსაღებია ქარხნის (ენერგალური მძლავრი საქაბე მეურნეობის ამოქმედება. ამ ობიექტის მშენებლობაზე გამოიყენეს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. ახალ მეურნეობას სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კოლექტივი აწარმოებს. საქმე წინ მიიწევს, დაბრკოლებები მშენებელთა მიზნით არ ხდება ხოლმე. კარგად არომეევს თავს საქმეს კოლექტივი, რომელსაც ჯ. ჩიმაკიძე ხელმძღვანელობს. ორთაჭალის ქვაბებისა და დამხმარე დანადგარების მაღალხარისხოვნად დამონტაჟებისათვის ქების ღირსია „საქმექანმონტაჟის“ გრრის საწარმოო უბნის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ზ. გიქაშვილი მეთაურობს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად დამონტაჟდა ახალი ტიპის ორიგინალური ორდოლიანი ეკრანირებული ქვაბები საათში 25 ტონა ორთქლის მწარმოებლობით. იგი შექმნეს ცენტრალური ქვაბების და ტურბინების ინსტიტუტისა და ბიისკის ქვაბსაშენებელი ქარხნის კოლექტივებმა.

წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე მბრუნავი ღუმელების რეკონსტრუქცია, რომელსაც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-9 ტრესტის კოლექტივი ახორციელებს. მზადდება საძირკველი სამაცივრო დანადგარების დასამონტაჟებლად. მომავალი წლისათვის ქარხნის სიმძლავრე 135 ათასი ტონით გაიზრდება და მიაღწევს მილიონ ტონა ცემენტს წელიწადში. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს სიმძლავრე კიდევ 450 ათასი ტონით გაიზრდება.

ქარხნის ალაყაფის კარიდან განიწყვეტლივ გამოდიან ცემენტით დატვირთული ავტომანქანები. მათ მოუთმენლად ელიან ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, სამშენებლო ობიექტებზე და მოედნებზე, სამშენებლო ინდუსტრიის ქარხნებში. მიცემენტეები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

ო. ჩიტაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

მისალოცი დეპეშა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ნიკოლაე ჩაუშესკუს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ილიე ვერდეცს ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 36-ე წლისთავის გამო.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

გვატყობინებენ საკავშირო კორესპონდენტები

● **კიევი.** საწარმოო გაერთიანება „ბოლშევიკში“ შეჯიბრების ლიდერი გახდა პირველი საამქრო, რომელიც ჯერ კიდევ ახლახან ვერ ასრულებდა საგეგმო დავალებებს. დაწინაურებაში მას დაეხმარა მეჩარხეების მუშაობა ეგრეთ წოდებული მანქანა-კომპლექტების მიხედვით. ბრიგადებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ ასაწყობად რეგულარულად მოსულიყო დეტალების მთლიანი კომპლექტი მანქანებისათვის. ამან გაზარდა წარმოების რიტმულობა, აამაღლა პროდუქციის ხარისხი. წლის დამლევამდე გათვალისწინებულია ახალი მეთოდით მუშაობაზე გადაიყვანონ კიდევ ათი ბრიგადა.

● **მინსკი.** საქალაქო სანიტარიულმა სამსახურმა ფრიადი შეფასება მისცა მინსკის სილიკატურ ნაკეთობათა კომბინატს. სანარმოში, სადაც გამუდმებით ზრუნავენ შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, ცემენტის განტვირთვისა და ტრანსპორტირებისათვის დამონტაჟებულია ახევმოსადენთა სისტემა. პროფკავშირულმა აქტივისტებმა ადმინისტრაციის მხარდაჭერით. საამქროებში შექმნეს დასვენების მყუდრო კუთხეები, დაამშვენეს ისინი ცოცხალი ყვავილებით, ააშენეს აუზები და შადრევნები. სოციალური განვითარების პროგრამის რეალიზაცია დაეხმარა კომბინატს ვადამდე შეესრულებინა ხუთწლიანი დავალება შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში, მკვეთრად შეემცირებინა კადრების დენადობა.

● **დონის როსტოვი.** ტაგანროგის რაისოფლტექნიკის მუშაკებმა გადაწყვიტეს ყველა მეცხოველეობის ფერმის მთლიანი ტექნიკური მომსახურება. სპეციალიზებული ბრიგადები და რგოლები მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით მოკლე ვადებში არემონტებენ მოწყობილობას. ეს ამცირებს ხარჯებს, ზრდის მეცხოველეობის შრომის ნაყოფიერებას. ამგვარი მომსახურების საფუძველზე იზრდება პროდუქციის წარმოება.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ □ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

მხოლოდ საძირკველი

„ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წიფის საშუალო სკოლის მშენებლობა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრდეს (მშენებელია გორის № 9 სამშენებლო ტრესტი“), სამუშაო კი დღემდე დაწყებულიც არ არის. გთხოვთ დაგვეხმაროთ და შედეგი გვაცნობოთ“.„ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის სახელზე ერთი წლის წინათ გაგზავნილ ამ დეპეშას შედეგი არ მოჰყოლია. მშენებლობაზე წელსაც მყუდროებაა. პირველი სართულის კედლების ამოშენება წამოუწყიათ, მაგრამ აგურის უქონლობის გამო შეჩერებულან. სამუშაოთა მწარმოებელმა ი. ლალეაშვილმა და მშენებლობის ოსტატმა ზ. ტატიშვილმა საამედო ვერაფერი გვითხრეს. ავჭალის სილიკატური აგურის ქარხანას აბრალებენ, მაგრამ ფაქტები სხვას მოწმობს.

ობიექტზე მთლიანად მოშლილია შრომის ორგანიზაცია, არ ჩყავთ მუდმივი მუშახელი. როგორც ოსტატმა თქვა, მუშები გარიგებული არიან დღიურად. ხელოსნებს აძლევენ 10-11 მანეთს, დამხმარეებს — 8 მანეთს. როგორც ჩანს, საკუთარი ტარიფით შემოღებულმა ანაზღაურების ორიგინალურმა წესმა სარგებლობა ვერ მოუტანა მშენებლობას, უხეში საფინანსო დარღვევისათვის კი ალბათ, კანონის ძალით მოჰკითხავენ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 9 ტრესტმა (მმართველი — ს. გეორგაული) და ხაშურის № 1 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი — ვ. ბარბაქაძე) წელს ექვს თვეში მშენებლობაზე მხოლოდ 5 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს.

აი მესამე თვეა მშენებლობაზე დგას „კს-4361ა“ მარკის ამწე. ამ ხნის განმავლობაში მექანიზმს ორი კვირაც არ უმუშავია, არადა, ვინ იცის რამდენი ობიექტი არის შეჩერებული ასეთი ამწის მოლოდინში. ამწის მემანქანემ ჯ. ბესაიევმა თქვა, რომ მშენებლები მექანიზმის იჯარას ყოველთვიურად 1.500 მანეთს უხდიან გორის № 9 მექანიზაციის სამმართველოს, ხოლო თვითონ 300 მანეთს იღებს ხელფასის სახით. აი უყაირათობა!

სკოლის ავარიულობის გამო ბევრი მოსწავლე სხვაგან გადავიდა, ყოველწლიურად კლებულობს კონტინგენტი.

სასწავლო წელი კარს მოგვდგა. ამ დღეს ხომ ზეიმით უნდა შეეხვედეთ, მაგრამ წიფის სკოლაში ეს ვერ მოხერხდება... შარშან დასამთავრებელი შენობის მხოლოდ სარდაფის ბეტონია ჩასხმული და ისიც უხარისხოდ. ერთ მხარეს იკი გახსნილია მთელ სიმაღლეზე, ახლა ცემენტით ამოუღესიათ და ყოველდღიურად აკონტროლებენ, ბზარმა მოიმატა თუ არაო.

ასე კუს ნაბიჯით განაგრძობენ მუშაობას გორელი და ხაშურელი მშენებლები.

სეტემბერი კი მოდის!

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი, მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიზნედვით რესპუბლიკის თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციათა ამოცანებისა და სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ გაკეთა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. ჯანჯღავამ.

პლენუმზე აღინიშნა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ახალციხის, ბოლნისის, გურჯაანის, მახარაძის, სამტრედიის, ჩოხატაურის რაიონების დოსააფის კომიტეტების, სასწავლო და სპორტული ორგანიზაციებისა და თავდაცვითი საზოგადოების მთელი რიგი სხვა კოლექტივების დამკვრელური მუშაობა.

საქართველოს დოსააფელები ორი წელია ზედიზედ იმარჯვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელს მესამედ მოვიპოვოთ სრულიად საკავშირო პირველობა, შევინარჩუნოთ გარდამავალი წითელი დროშა! — ამ მოწოდებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პლენუმის ყველა მონაწილემ.

სამხედრო-პატრიოტული, სასწავლო და სამეურნეო მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევა, — ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე. — შეიძლება მხოლოდ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შედეგად.

მსჯელობის დროს, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, პლენუმის მონაწილეებმა გამოაშკარავეს ნაკლოვანებები სასწავლო-აღმზრდელობით, სპორტულ-მასობრივ და სამეურნეო მუშაობაში, მთელი რიგი პროფესიების სპეციალისტების მომზადებაში, დასახეს მათი რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

••

ახალი პარტიული კომიტეტი

გაიმართა ბათუმის რკინიგზის კვანძის პირველი პარტიული კონფერენცია. კვანძი ერთიანებს თერთმეტ საწარმოსა და დაწესებულებას.

„ბათუმის რკინიგზის კვანძზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. მანჯგალაძემ.

მოხსენებასა და კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ბათუმელმა რკინიგზელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მუშაობაში, რკინიგზელთა, მეზღვაურთა და აერომობილისტთა შრომითი თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში, ლენინგრადელების გამოცდილების დანერგვაში. მაგრამ კვანძის საქმიანობა ჯერ კიდევ ერთ-ერთ ყველაზე „ვიწრო“ ადგილად რჩება ქალაქის სახალხო მეურნეობაში. ხშირად ირღვევა მატარებლების გასვლის გრაფიკი, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მოძრავ შემადგენლობას, ბევრ სამართლიან საყვედურს იწვევს მგზავრთა მომსახურების ხარისხი, აღინიშნება უბილეთო მგზავრთა გადაყვანის, სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარიშიანი გამოყენების ფაქტები.

კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები სავაგონო სალოკომოტივო დეპოების, ბათუმის სადგურისა და რკინიგზის კვანძის სხვა ქვეგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის იმ მიზნით, რომ საიმედოდ გადაუღობონ გზა შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევებს, ბოროტმოქმედებას.

კონფერენციაზე აირჩიეს ბათუმის რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტი. (საქინფორმი).

••

თათბირ-სემინარი

ფულუკიძე. („კომუნის ტ ი ს“ კორ.). საქართველოს კომპარტიის ფულუკიძის რაიკომში გაიმართა რაიონის პარტიული ორგანიზაციის სარეგიონო კომისიისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი, რომელზეც იმსჯელეს პარტიულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის, საწერო პარტიული შენახანების აღრიცხვა-ანგარიშების მდგომარეობის საკითხებზე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ფულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქვარაცხელიამ.

განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ფულუკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაციის სარეგიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. სულაბერიძე, აბრეშუმის ძაფსაღებ-სამაბავი ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. ბენდელიანი, გორა-ჯიხაიშის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ჩომახიძე, პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი შ. რუხაძე, რაიონის პარტიული ორგანიზაციის სარეგიზიო კომისიის წევრი ი. ჩიმაკაძე.

თათბირ-სემინარზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის სარეგიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ფ. მახარაძე.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

კაპიტალური მშენებლობა დაგეგმვით იწყება

კაპიტალური მშენებლობისადმი მოთხოვნები დღითი დღე იზრდება. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების გონივრულ და ეფექტიან გამოყენებაზე დამოკიდებულია როგორც ქვეყნის საწარმოო პოტენციალის შემდგომი ზრდა, ისე ეკონომიკის დინამიკური, შეწონასწორებული განვითარება. ამიტომაც პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის სრულყოფის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ახლა ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის დონე, შევუსაბამოთ იგი განვითარებული სოციალიზმის ეტაპის მოთხოვნებს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კაპიტალური მშენებლობა სახალხო მეურნეობის ნებისმიერ სხვა დარგზე მეტად მოითხოვს პერსპექტიულ დაგეგმვას. იგი არ შეიძლება საკმაოდ გეგმაზომიერი და რიტმულად ორგანიზებული იყოს, თუ მხოლოდ წლიურ და კვარტალურ გეგმებს ემყარება. ამიერიდან კაპიტალური მშენებლობის მაჩვენებლები განისაზღვრება მთლიანად ხუთწლეულისათვის. ეს ნიშნავს, რომ დარგის განვითარებას საფუძვლად დაედება მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების სისტემის ბაზაზე შემუშავებული ხუთწლიანი გეგმა. იგი უცვლელი, სტაბილური სახელმწიფო საგეგმო დოკუმენტი გახდება. ეს გარემოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამშენებლო წარმოების ძირეულ გაუმჯობესებას, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას.

კაპიტალურ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაუმთავრებელ მშენებლობათა ყოვლად გაუმართლებელი სიმრავლე, ამასთან უკანასკნელ წლებში იგი სისტემატურად იზრდება. დაუმთავრებელი მშენებლობის ხვედრითი წილი ჩვენს რესპუბლიკაში 1965 წელს 85 პროცენტს, 1975 წელს — 105, 1978 წელს კი კვლავ 85 პროცენტს შეადგენდა.

დაუმთავრებელი მშენებლობის ასეთი დიდი მოცულობა ნიშნავს, რომ უძრავ მდგომარეობაშია ორჯერ მეტი სახსრები, ვიდრე საჭიროა მშენებარე ობიექტების ასამოქმედებლად. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ობიექტის აგების ვადები მათი სახეობებისა და სიმძლავრეების მიხედვით ნორმირებულია, თუმცა ნორმატივები ყოველთვის არ არის ოპტიმალური და დროის ფაქტორით გარანტირებული.

მშენებლობის ვადების გაჭიანურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა მრავალ ობიექტზე. ამიტომ ჩვენი ამოცანაა უზრუნველყოთ კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაცია დიდმნიშვნელოვან და პირველ რიგში ასამუშავებელ სამშენებლო ობიექტებზე. ღონისძიებანი, რომლებიც დღემდე ხორციელდებოდა მშენებარე ობიექტების რაოდენობის შესამცირებლად, როგორც პრაქტიკა მოწმობს, არ არის საკმარისი და ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს. ამის შედეგია, რომ 1979 წელს კიდევ უფრო გაიდიდა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. შემკვეთები ყოველმხრივ ცდილობენ მიაღწონ ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმაში შეტანას და ამ გზით მიღებულ სახსრებს მეორეხარისხოვან მშენებლობებზე იყენებენ.

კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვის აღმოსაფხვრელად და მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას, დაუმთავრებელი მშენებლობების რიცხვის მკვეთრ შემცირებას.

ამ მიმართულებით პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ ითვალისწინებს კაპიტალური მშენებლობის სტაბილური ხუთწლიანი გეგმის (წლების მიხედვით დავალებათა განაწილებით) მნიშვნელოვნის გაზრდას. ეს გეგმები შეწონასწორდება როგორც შრომითს, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან, ისე სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეებთან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ერთხელ და სამუდამოთ აღმოვფხვრათ მშენებლობის ვადების გაჭიანურება.

მშენებარე ობიექტებისთვის სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობის დაგვიანებით მიწოდება, ზოგჯერ მათი არაკომპლექტურობა და დაბალი ხარისხი ძალზე ართულებს სამშენებლო წარმოების პროცესის ოპანამიდეკვრულ განხორციელებას, აფერხებს საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას. მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებანი ხშირად აიძულებს მშენებლებს გამოიყენონ უფრო ძვირადღირებული მასალები. ყოველივე ეს იწვევს მასალების არამიზნობრივ გამოყენებას, მშენებლობის გაძვირებას, ხარისხის გაუარესებას და ზედმეტი მასალების ხარჯვას.

დაბალანსების მნიშვნელოვანი პირობაა მშენებლობის მოცულობის შეთანაწყობა სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებთან. ამის უზრუნველსაყოფად ყოველ სამშენებლო ორგანიზაციაში უნდა შეადგინონ პასპორტი, ხოლო შემდგში მოხდეს მისი დაზუსტება. იგი უნდა შეიცავდეს საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი ოდენობისა და მისი გამოყენების, ცვლიანობის კოეფიციენტის, ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის, სპეციალიზაციისა და იმ სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესამუშავებლად. ამგვარი პასპორტები სრულ წარმოდგენას მოგვცემს თითოეული სამშენებლო ორგანიზაციის რეალურ შესაძლებლობაზე. ამის შესაბამისად უნდა დაიგეგმოს სამშენებლო სამუშაოთა მოცულობანი ხუთწლედისა და ცალკეული წლების მიხედვით.

სიახლეა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების დამტკიცების სტაბილური წესის შემოღებაც. საგულისხმოა, რომ ხუთწლიან გეგმაში დადგენილი ლიმიტები წლიურ გეგმებში ხელახლა არ დამტკიცდება. ეს არსებითად ცვლის საქმეს. ლიმიტი სარესურსო მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ასამოქმედებელ მზა საწარმოს, სიმძლავრის, ობიექტის და ნორმატიული მარაგაკეთების შესაქმნელად დაგეგმილ კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯების ზღვრულ სიდიდეს. ამით იგი განსხვავდება „კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის“ მაჩვენებლისაგან, რომელიც შეფარდებითი და არა სარესურსო მაჩვენებელია. ამგვარად, ეფექტიანობის კრიტერიუმი ხდება რესურსების დაზოგვა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

მეთერთმეტე ხუთწლედისათვის მომზადდება სახარჯთაღრიცხვო ნორმატიული ბაზა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების დაგეგმვაზე თანდათან გადასვლისათვის წმინდა პროდუქციის (ნორმატიულის) ან სხვა ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს შრომის დანახარჯების ცვლილებებს, ხოლო ხელფასის ფონდისა — ერთი მანეთის პროდუქციაზე ნორმატივის მიხედვით.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შეფასება და მათი ეკონომიკური სტიმულირება მოხდება საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების, სასაქონლო-სამშენებლო პროდუქციის დაკალებათა შესრულების შედეგების, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის საფუძველზე.

ამგვარად, ახალ პირობებში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია ამ დაბანდებათა დაგეგმვის მექანიზმის სრულყოფა და გაუმჯობესება. ეს ნიშნავს, რომ დაგეგმვით იწყება ეფექტიანობისაკენ რეალური შემობრუნება. ოპტიმალური დაგეგმვა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის მატერიალიზაციის რეალური საფფუძველი ხდება.

გ. ლაბარტყავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



შეჯიბრებაში გამარჯვე-ბული

საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომბლექსი ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში.

აქ ყველა საამქრო მექანიზებულია. საწარმოში ფართოდ არის დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები. მექანიზებულია კვება, ნაკელისა და წუნწუხის გატანა, გოჯების კვება რეგენერირებული რძით, მისი ულტრაიისფერი სხივებით დასხივება, რაც ხელს უწყობს პირუტყვის ზრდას.

კომბლექსმა, რომელიც გათვალისწინებულია 2400 სულისათვის, მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდა 950 ტონა ხორცი და ამით სამი კვარტალის გეგმა 126 პროცენტით შეასრულა. აქ რეალიზებულია გოჯების მიღების ნახევარი წლის გეგმაც. დამზადებული ხორცის 90 პროცენტი I და II კატეგორიისაა.

გიორგიწმინდელი მეცხოველეების გადაწყვეტილებაა წლიურს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 50 ტონა ხორცი.

სურათებზე: საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომბლექსის საგოჯე საამქრო; ოპერატორი ზაირა უსტიაშვილი (ზემოთ).

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ინსტიტუტი — სოფელს

სასარგებლო რეკომენდაციები

გაიმართა დუშეთის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივნის ვ. კერესელიძისა — დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსის ვ. მეტრეველისა 1980-1985 წლებში დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ. კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შხვაცაბაია, დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. თეთრუაშვილი, პროფესორი გ. ნიკოლაიშვილი, „საქსოფლტექნიკის“ დუშეთის რაიონული განყოფილების მმართველი შ. ბურდული, დუშეთის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი გ. ტატიშვილი.

აქტივის კრებამ განიხილა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა და მიიღო დუშეთის რაიონში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითადი მიმართულებების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის კომპლექსური პროგრამა.

რაიონისათვის ერთ-ერთი პრობლემაა მთებში თივის დამზადება და ჩამოზიდვა. ინსტიტუტის ელექტროამძრავისა და ელექტროტექნიკის კათედრამ დაგეგმა მთის ზონის სათიბებში თივის ტრანსპორტირებისა და აღების საშუალებისთვის გამოიყენოს პნევმოელექტრომექანიზებული სისტემა და ელექტროსათიბელები, რაც უზრუნველყოფს თივის აღება-ტრანსპორტირების ხარჯების 4-6-ჯერ შემცირებას და თივის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

რაიონში ჯერ კიდევ ნაკლებად რენტაბელურია ბოსტნები და ბაღვენახები, ნაკლებად იყენებენ ტექნიკური საშუალებებს, დიდია მეჩხერიანობა და სხვა. ამიტომ უნდა შეიმუშაონ ორგანიზაციულ-სამეურნეო და ეკონომიკური ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსური სისტემა, რომელიც დაამყაროფილებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითადი მიმართულებების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის ეფექტიანობას.

ინსტიტუტის ინიციატივით გათვალისწინებულია სხვა საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებებიც, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვისა და დაკონსერვების ტექნოლოგიის საფუძველზე საკონსერვო ნედლეულის რაციონალური გამოყენება და საკონსერვო ასორტიმენტის გაფართოება; რაიონის კლიმატური და სამეურნეო-ეკონომიკურ თავისებურებათა შესაბამისად ყურადღება მიექცევა საზოგადოებრივ მეურნეობებში მეაბრეშუმეობისა და მეთუთიეობის, როგორც სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების განვითარების აუცილებლობას; შემუშავდება და განხორციელდება რეკომენდაციები ტყის კულტურათა ასორტიმენტის გაფართოებისათვის ტყის სარტყელებში ვერტიკალური განაწილებით; ეს ხელს შეუწყობს ძვირფასი ჯიშების ტყის გავრცელებას და სატყეო რესურსების გამდიდრებას.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები გამოიკვლევენ დუშეთის რაიონის მთიანწინა და მთიანი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალური განვითარების თავისებურებებს, რაც საფუძვლად დაედება მთიანი რაიონების პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ფორმების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს, აგრეთვე სრულყოფს მთიანი ზონისათვის დამახასიათებელ სოციალურ სტრუქტურას და სოციალური ცხოვრების წესს.

გ. ხახიაური.



ეროვნული საუნჯე

სიტყვა ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეული კორპუსის გამოცემის გამო

ყოველი ერის ცხოვრებაში, მით უფრო, თუ იგი კულტურითაც უძველესთა რიგს მიეკუთვნება, ფოლკლორს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. თუ ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში ხშირად შეინიშნება რემინისცენციები, გავლენები, მეზობელ ხალხთა დამწერლობის ზემოქმედება, ამ მხრივ ფოლკლორი სრულიად თავისებურია, აშკარად მოწყვეტილია სხვის გავლენას. არსად ერი სულიერად ისე არ ჩანს მთელი თავისი უშუალო, პირდაპირი, გარეგანი და შინაგანი ბუნებით, როგორც ფოლკლორში. ამიტომ, ვისაც რომელმე ერის სრული სახე სურს დაინახოს (როგორი იყო ან არის), მის ფოლკლორსაც უნდა მიმართოს. ფოლკლორში მშობელი ხალხის ბუნება, არსება, ფსიქიკა, ტრადიცია, აზროვნება, მორალი, წარსული, აწმყო, მომავლის ტენდენცია მთელი ძალით პოეტურ სახეებში ისე იხატება, თითქოს ერთი ბრძენი, ერთი გენიოსი ჰქმნიდეს ყოველივეს, თუმცა ვინ არ იცის, რომ ეს ერთი ბრძენი, ეს ერთი გენიოსი მთელი ხალხია. ქართული ხალხური პოეზია ქართველი ხალხის ერთ სიმად, მაგრამ მრავალხმიანად გაბმული, უხსოვარი დროიდან მოყოლებული ჩვენამდე მოსული, როგორც ერის დიდი საუნჯე და ცოცხალი მემატიანე.

მაგრამ რევოლუციის შემდეგ ფოლკლორშიც სერთარი რადიკალურად შეიცვალა. ახალი ცხოვრების, სოციალისტური ყოფის გამარჯვებამ, ქვეყნის გარდაქმნამ ხალხთა საპედნიეროდ დაბადა მანამდე უცნობი პათოსი, ლექსებში გზა გაუხსნა უმაგალითო გმირობის, პატრიოტული შრომისა და ბრძოლის სასახარულო განცდებს. საბჭოთა წლებში ქართველი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების მატიანე ფოლკლორმა შესანიშნავი პოეტური სიმღერებით გადმოგვცა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო, ეიდან, როგორც ძველ, ისე ჩვენი დროის ხალხურ შემოქმედებაში მოქმედებდა კანონი, რომელიც სხვას ირაფერს ნიშნავდა, თუ არ სინამდვილის ასახვას მხატვრული სახეებით.

ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომიანი კორპუსის სარედაქციო კოლეგიამ უთვალავი მასალა ისე დაალაგა, რომ დაიწყო უძველესი მითოლოგიიდან, პარალელურად თეოგონია წარმოაჩინა ქვეყნისა და ადამიანის გაჩენა, შემდეგ ქრისტიანული ლეგენდები, ბიბლიური დაუვიწყებლად. ამ პირველი საკითხის ასე გადაწყვეტა იყო მთავარი, ხოლო თუ როგორ განლაგდებოდა მომდევნო თემები, შედარებით ადვილი ჩანდა. პირველ ორ თემას მიეძღვნა კორპუსის ორი (I, II) ტომი, დანარჩენებში კი მასალა ძირითადად ასეა დალაგებული: აფორიზმები და სასიმღერო ტაეპები (III ტ.), ბრძოლა მომხდურებთან (IV, მაგრამ იწყება III ტომის ბოლოდან); იქვეა ტომბრივი შუელი, გმირის იდეალი, საგმირო-სახოტბო, საგმირო-სამონადირეო, საგმირო-სამგლოვიარო. V ტომში შეტანილია საახალწლონი, ალილო, ჰონა, ბერიკაობა, ოჩხარი, ხმით ნატირალი, მოსაგონარნი, საქორწილო ლექსები. ასევე მრავალფეროვანია VI ტომი, რომელშიაც წარმოდგენილია ქება, ნატვრა, სატრფიალო გაბაასება, ქართული პასტორალი, სატრფიალო წერილი, ელეგია, მინიატურა და ბალადა. თემატიკურად კიდევ უფრო მრავალფეროვანია VII ტომი (წუთისოფელი, სოციალური მოტივები, ბუნება, ფრინველები და ცხოველები, სამონადირეო პოეზია). რაც შეეხება VIII ტომს, თუმცა მოცულობა წინამორბედზე მეტი არა აქვს, იგი ყველასაგან მაინც გამოირჩევა თემატიკის სიუხვით. რა არ არის აქ: ოჯახი (დედ-მამა, და-ძმობა, ძმობილობა, ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთილი, პატარძალი, გასათხოვარი ქალი, სიძე-სიმამრი, ქვრივი, ნათლია და ნათლიდედა, სტუმარ-მასპინძლობა), შემდეგ მოდის მწყემსური, სოფლები და კუთხეები, ცალკეა საბავშვო ლექსები (აკვნის სიმღერები, სალალაო და შესაქცევარი, სწავლა), ფრინველები და ცხოველები, ცოცხალი ტყეები, გამოსაჯავრებელი და სალალობო ლექსები, გაოვლები და, ბოლოს, ენის გასატეხი — ქართველი კაცის გონებამახვილობისა და მოსაზრებულობის ნიშანში.

ჯერჯერობით ესაა გამოცემული. დანარჩენი ოთხი ტომის მასალაც გამზადებულია, ისე რომ, ჩვენ მალე გვეძენება ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსი, რომლის ბოლო, XII ტომი საბჭოთა პერიოდს აგვისახავს.

რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ უკვე გამოცემული ტომების საფუძველზე?

მთლიანად ძირითადად აზრზე ან აზრების კომპლექსზე დაშენებული ლექსების პარალელურად, ხალხური პოეზია სავსეა სიუჟეტური სიმღერებით, თითქოს ისინი პოემების ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ. მაგრამ თითოეული მათგანი რაკი შიაარსობრივად დამთავრებულია, ეჭვიც აღარ რჩება, რომ ისინი დამოუკიდებელი, ფაბულების მიხედვით შექმნილი ფოლკლორული ძეგლებია. მაგალითად, შედარებით პატარა — „პეტრე ბატონის ლექსი“ (VII, 77) ამ მხრივ კლასიკური მაგალითია. მისი ფაბულა ბოემას კი არა, მთელ დრამას ეყოფოდა, აქ კი მხოლოდ 45 სტრიქონში ეტევა.

საერთოდ, ფოლკლორი ყველგან ახერხებს მოცულობით დიდი ფაბულები ისე შეკუმშოს, რომ დაუზიანებლად მინიატურული სახე მისცეს, მაგრამ თუ საჭიროდ დაინახავს, ლაკონიური თემა ეპოსის მასშტაბითაც გაშალოს. ეს უეჭველად არის ხალხური პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული ხერხი, რომელშიაც თავისებურად ვლინდება ფოლკლორის ესთეტიკისა და პოეტიკის ორიგინალური ბუნება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დიდხანია მეცნიერული კვლევა-ძიების საგანია ფოლკლორის პოეტიკისა და ესთეტიკის საკითხები. მაგრამ ამ მხრივ დღემდე რაც გაკეთებულა, ბევრიც ცოტა გვეჩვენება. არ არსებობს პოეტიკის არცერთი კანონი, არცერთი სფერო, რომელიც ფოლკლორს არ გაეჩხიტოს, და არ არსებობს ესთეტიკის არცერთი კატეგორია, ხალხურ შემოქმედებაში განსხვეულება რომ არ ჰქონდეს. ფოლკლორი პოეტიკური და ესთეტიკური აზროვნების უსასრულო ველია. ვერ დაასახელებ ლიტერატურის ისტორიაში ვერც ერთ მხატვრულ ფორმასაც, ხალხურ შემოქმედებას რომ არ გაეჩხიტოს. ლექსის თითქმის ყველა ფორმა, რაც თანამედროვე პოეზიის კუთვნილებაა, თავისი ზომებით სათავეს ხალხური შემოქმედებიდან იღებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. ხალხური შემოქმედების პოეტიკა და ესთეტიკა უაღრესად ვრცელი დარგია, რომლის სიღრმეში, კაცმა რომ თქვას, ჩვენ ჯერ შეუღაწიარეველი თვალითაც სერიოზულად არ ჩაგვიხედია, სერიოზულ შესწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რა არ არის იქ: საოცარი მრავალფეროვნება მხატვრული გაზრებისა, პოეტური ფორმები და ჟანრები, რომლებიც ათასგვარი ვარიაციით გვაოცებენ. ერთ-ერთი მათგანია „ენის გასატეხი“, ანუ ის ლექსები, რომლებიც დიდ ორიგინალობასთან ერთად გონებამახვილობითაც ბრწყინავენ, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა მათთვის სხვა სახელიც მიგვეცა.

ქართული ხალხური პოეზია მთელი ერის შექმნილია და მისივე საკუთრებაა. კორპუსში წარმოდგენილია საქართველოს ყველა კუთხე — ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ხევი, მთიულეთი, რაჭა, ლეჩხუმი. თითოეულ მათგანს თავისი რაღაც სპეციფიკური აქვს, უპირატესად დიალექტების სახით, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი თვითონვე იგრძნობს სხვა მხრივაც დამახასიათებელს, გარდა ენისა — სვანური იქნება ეს, თუ მეგრული. მაგრამ ყველა ლექსში, რომელ კუთხეშიაც არ უნდა იყოს ჩაწერილი, ჩვენ გვხიბლავს საოცარი უშუალობა, ორიგინალური ხედვა გარე სამყაროსი, თავისუფლება, შეუზღუდველობა აზრისა და გრძნობის გამოხატვაში. ეს ყველგან იგრძნობა, სულ ერთია, ლექსი რასაც არ უნდა ეხებოდეს. მართლაც, ვის არ მოხიბლავს ხალხური აფორიზმების სიბრძნე, ეს გაუთავებელი დინება გენიალური აზრებისა, ასე ლამაზად, ბრწყინვალედ, ასე მიმზიდველად რომ არის ამეტყველებული უმშვენიერეს მხატვრულ სახეებში:

„ვაჟკაცსა — გული რკინისა,
აბჯარი — თუნდა ხისაო,
თვალნი — ქორებულ მხედავნი,
მუხლები შევარდნისაო“.

ან კიდევ:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჰამონ მტრისანი“
(III, გვ. 79-81).

განა შედევრი, გენიალური არ არის „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“? (IV, გვ. 242), არამარტო სიუჟეტის დამაბულობითა და ტრაგიზმით, არამარტო ღრმა ფსიქოლოგიური განცდების უმაღლესი პოეტური გამოხატვითა და მკაფიობით, მთელი ლექსი გამოირჩევა ჰუმანიზმით, თხრობისა და მოქმედების ისეთი ჰარმონიული ერთიანობით, რომელიც არაერთ გენიოს პოეტს შეშურდებოდა.

რა თქმა უნდა, ყველა ლექსი შედევრი, მით უფრო გენიალური არ არის, მაგრამ ყველა ლექსში ერთი ან ორი ლამაზი თქმა, ორიგინალური ხედვა, აზრის თავისებურება თუ ლაზათიანი სიტყვა, ამათგან ერთ-ერთი მათგანი უეჭველად მოინახება. ეს არის ხალხური პოეზიის საერთო დამახასიათებელი თვისება, რასაც მკითხველი ნთნლად იგრძნობს, როცა სარეცენზიო წიგნებს გაეცნობა. საერთოდ, როცა ვლაპარაკობთ ხალხური შემოქმედების გენიალურ ნიმუშებზე, მაგალითად, როცა კკითხულობთ უბრწყინვალეს ლექსს — „შემომეყარა ყივჩაღი“, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ არიან ერთი ღამისა თუ ერთი დღის გენიოსები. ვის არ შეშურდება მათი ავტორობა?! ვერ დაასახელებთ ვერც ერთ გენიოს პოეტს, რომელიც უარს იტყოდა ხელი მოეწერა იმ ლექსზე (VII, 31), რომელიც ხალხურ მთქმელს ასე ოსტატურად ჩამოუქანდაკებია მხატვრულ სახეებში და სკეპტიკური ფილოსოფიური აზროვნების სიღრმე მიუცია. დაკვირდით მთელი ლექსის პოეტურ სინაზეს, ბრძნულ აზრსა და პრაქტიკული ცხოვრების დიალექტიკას:

„ბინდის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება...

კითხულობ ამ ლექსს და უნებლიედ ფიქრობ: რამდენი სინათლეა აქ, ამ „ბინდის ფერი სოფელის“ მხატვრულ პერეფაციაში, რამდენი ღრმა აზრი, რამდენი სინაზე, სევდა, ადამიანურად თავშეკავებული სევდა, ყოველ ნაბიჯზე მეტაფორების ტყე. ამგვარი მაღალპოეტური, სრულიად თავისებური, მე ვიტყოდი, უნიკალური თქმა მარტოოდენ ფოლკლორს ან ჰომეროს-რუსთაველს რანგის პოეტს თუ შეუძლია. მერე-და რა ხილვაა ადამიანის სულისა, რა იონელი-ბრძენივით დაფიქრება ყოფნა-არყოფნის წყეულ პრობლემაზე, როგორი სიდინჯით არის გააზრებული ადამიანის ცხოვრებისეული ანტინომიები! მარტო ერთი თემა — „ნეტა, სი

საერთაშორისო ცხოვრება

დღეს მსოფლიოს ჭიშკრებზე

საკადრისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ვაშინგტონის ავანტიურისტული კურსის წინააღმდეგ

მსოფლიოს ხალხები აღშფოთებული არიან ვაშინგტონის უპასუხისმგებლო კურსით, რომელსაც მსოფლიო ბირთვული ხანძრის გაჩენება მოუწყალინებია. მათი აზრით, სწორედ ეს არის არსი თეთრი სახლის ახალი ბირთვული დოქტრინისა, რომელიც გულისხმობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიაზე „პრევენტული" ბირთვული დარტყმის მიყენების შესაძლებლობას.

ტოკიო. მსოფლიოს მილიონობით სტუდენტის სახელით, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ფრთელულებებს, ძველოლოგიურ ან რელიგიურ მრწამსს ადგანან, ფედერალური საერთაშორისო კავშირის სამდივნომ გადაწერილი დაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახალი ბირთვული დოქტრინის წამოყენებისა-ს, ნათქვამია კავშირის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში. ამერიკის ადმინისტრაციის ბირთველი გეგმები მოწმობს, რომ მას ნებას დაანშინოს მსოფლიო ომი-ს ეგზისტენციალიზმი, რომელიც დაბოლოობის შენელებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ იბრძვის, ხაზგასმულია განცხადებაში.

ლონდონი. „ქორების" ხელით ბის დაწერილი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ბირთველი სტრატეგია, წერს გაზეთი „ფინანსიალ ტაიმზ". მისი მეტრატისტული უგულებრივება აშკარა. ეს დოქტრინა ასახავს ამერიკის შეერთებულ შტატების იმპერიალიზმის სწრაფვას მსოფლიო ბატონობისადმი, გამოხატავს სოციალიზმის ქვეყნებთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მოპოვების ილუზორულ ვარაუდს.

ჟენევი. (კონფლიქტიუტის შტატი). საღად მოაზროვნე ამერიკელები შეშფოთებითა და გულისწყრომით შეხვდნენ თეთრი სახლის ახალ ბირთველ დოქტრინას, ნაანალიზა საკადესის კორესპონდენტისადმი ინტერვიუში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის კამპანიის „მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამეფო ბჭეთა საერთაშორისო ბიურო" ეროვნული კომიტეტის ბუღალტერ ელჩმა სსრ კავშირში ტ. დუდაშმა გამოსვლისას.





სახალხო ხელისუფლების წლებში ბაკეუს მაზრა რუმინეთის განვითარებულ სამრეწველო რაიონად გადაიქცა.

* * *

სურათებზე: ქალაქ რიმანის შაქრის ქარხნის საამქროში (ზემოთ); რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ბუქარესტის სასახლის ახალი დარბაზი.

აგზავრებს-აპნის ფოტო.

რუმინეთის ეროვნული დღესასწაული — გაქნთავისუფლების დღე

საგეიმო კრება მოსკოვში

21 აგვისტოს გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც რუმინეთის განთავისუფლების 36-ე წლისთავს მიეძღვნა.

გამოსულმა მხანაგებმა აღნიშნეს, რომ 1944 წელს საბჭოთა არმიის მიერ ბუქარესტის განთავისუფლებამ დაადვირგვინა ქვეყნის მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება. რუმინელმა ხალხმა სამოდამოდ მოიღო ბოლო ბურჟუაზიულ-მემამულეურ წყობილებას, მტკიცედ დაადგა სოციალიზმის გზას.

რუმინეთის სოციალისტური ეროვნული ერთიანობის ბალიშ-ბაკეუ ბაზაზე გაუსვა, რომ რუმინელმა ხალხმა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას მიაღწია და სოციალისტური გარდაქმნების გზას დაადგა ხელმძღვანელ პირობებში, როცა მსოფლიო განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევა, სოციალიზმის პირველი ქვეყნის ბრწყინვალე წარმატებები, ხაზი გაუსვა მან.

ელჩმა აღნიშნა, რომ ნიადაგ ვითარდება რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, რომელიც განუწყვეტლივ ღრმავდება და ყოველმხრივ ფართოვდება.



ხუნტის ახალი ცდა

კვიანა, 22 აგვისტო. ბოლიეის სამხედრო ხუნტამ, რომელიც ერთი თვის წინათ სამხედრო გადატრიალების შედეგად ეროვნ ძალაუფლება, სცადა განმტკიცებინა თავისი პოზიციები და ხმა ჩაეკმინდინებინა ეროვნ მოწინააღმდეგეებისათვის. ამჯერად დაუფარავი მუქარ-ობიექტი გახდნენ რელიგიოზ-მოღვაწენი, რომლებიც გმობ-ხელისუფალთა ანტიხალხურ ოქმებიას და ამხილებენ მხედ-ონის დანაშაულობებს. შინაგ-საქმეთა მინისტრმა პოლკოვ-ბა არსამ მოვდელ-მსახურებს ალად დასდო, რომ სამხედრო-საქმეში ჩარევით, ისინი „ხელს ეშავენ საერთაშორისო ექსტ-ზმს". ხუნტა, მუქარით თქვა ინსნის პასუხისმგებლობას ესიის წარმომადგენელთა უსა-ბოებისათვის.

ეიქმის მეთაურმა გენერალ-გარსია მესამ სცადა უარეყო ალ ქვეყნის პრესაში გამოქვეყნული ცნობები ნარკოტიკების ონონ ვაჭრობასთან ხუნტის ბრის შესახებ, რომელიც შე-ებულ შტატებში იღებს სა-ს. მან განაცხადა, რომ ხე-ეუფალნი „შეებრძოლებიან კომპანიის ორგანიზატორებს". ბეიდრიონი ტერორის მეშვეთ ვერ აიძულებს ხალხს ცნოს ი რეჟიმი. პრესა ლატინას სა-ტოსადმი ინტერვიუში არა-ალურად მოქმედი ეროვნული ანობის მთავრობის წარმო-გენელმა ხაიმე პას სამორამ აცხადა, რომ დემოკრატიის ბრენი ძალებს იკრებენ მეა-ბეებზე შეტევისათვის. რო-ც მან თქვა, ამიტომ ერთო-ვი პლატფორმის შემუშაეე-ამთავრებს ყველა პოლიტი-ი პარტია, რომელთა წარმომა-ლებები 29 ივნისს აირჩიეს პა-მენტის საყოველთაო არჩევ-ბი, გარდა ულტრარეაქციული ონალისტური დემოკრატიული ირისა.

ბოლივიის ხალხი ომს ეწინააღმდეგება

ბუენოს აირესი, 22 აგვისტო. ბოლივიის ხალხი ომს ეწინააღმდეგება ხუნტის ანტიეროვნული ბრძოლა. ბოლივიელ ემიგრანტთა ინფორმაციით, ბოლივიის ეროვნული ბანკის ბინა ბომბებმა ააფეთქეს. ბანკის ბინა ეკუთვნოდა ბოლივიელ ოligarქ ალბერტ ბოლივარს, ამ



მწვანე სამეფო

ეს ფოტოსურათები გადაღებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკურ ბაღში. ზემო სურათებზე — ჩანჩქერი და ხიდი; მრავალი ამბის მომსწრე და მოწმეა ნარიყალა. ამ სურათზე ნარიყალა ნაჩვენებია ბოტანიკური ბაღისა და ლეღვთა ხევის მხრიდან;

ოც წელზე მეტია ბოტანიკურ ბაღში მუშაობს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო კახელაძე. მისი ხელმძღვანელობით დიდი სამუშაოები წარმოებს ველური სამკურნალწამლო ბალახების შესასწავლად; დეკორატიული მებაღეობის ნაკვეთზე მეცნიერი თანამშრომები ლამარა ასეიშვილი დაკვირვებებს აწარმოებს ორგინალურ მცენარეზე — არიანტუსზე; ბევრი საინტერესო სამუშაო ხორციელდება დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის განყოფილებაში. სურათზე (ქვემოთ მარცხნივ) ნაჩვენებია ახალი ჯიშის მინიატურული ვარდი, რომელიც მეცნიერმა თანამშრომელმა უუჟუნა ავალიშვილმა გამოიყვანა.

ავტორის ფოტო.

ქობულეთი. ხეივანზე რომ ახვიდეთ და სამხრეთს გადაპყურდოთ, თქვენ თვალწინ გადაიშლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის თვალწარმტაცი პანორამა. ამ ადგილს ლეღვთა ხევს უწოდებენ. როგორც ამბობენ, ასე იმიტომ უწოდებიათ, რომ აქ უამრავი ლეღვი ყოფილა.

ნაკადული თითქოს ორად ჰყოფს აქაურ ბუნებას. ჩრდილოეთიდან ლეღვთა ხევს ციცა ქარგებისაგან იფარავს სოლოლაკის მთა.

გარშემო მთის ფერდობებზე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები აღმართულან, ნადიკვრის ფერდობები კი დეკორატიულ მცენარეებს და ვარდს დაუმშვენებია.

საინტერესოა ლეღვთა ხევის ისტორია. ამის თაობაზე გვესაუბრება ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მამია გოგოლაშვილი:

— პირველ წერილობითს ცნობებს ჩვენ ვხვდებით ფრანგი მოგზაურის შარდენის ნაწერებში, რომელიც 1671 წელს ეწვია თბილისს. იგი ამბობს, აქ მრავალი სასახლე და ბაღიაო. ყველაზე დიდი ბაღი საქართველოს მეფისაა. იქ ხეხილი ცოტაა, სამაგიეროდ ბევრია „გასალამაზებელი“, ანუ დეკორატიული მცენარე.

მოგზაური და ბოტანიკოსი ტურნეფორი, რომელიც 1701 წელს იყო თბილისში, გვიამბობს: ქალაქის იმ მხარეს, სადაც თურქეთის გზა გადის, სასახლის მახლობლად მშვენიერი ბაღებიაო.

თბილისის გეგმაზე, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს შეუდგენია 1735 წელს, აღნიშნულია კუმისის გზა, რომელიც ციხის ბაღის გასწვრივ გადიოდა, და შესაძლოა, თურქეთში მიმავალი გზა იყო.

ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი „ძველი თბილისის აღწერილობაში“ (1866 წ.) წერს: სეიდაბადის სასახლე ციხის ძირას იდგა და სრულიად დაუნგრევიათ სპარსელებს 1795 წელს; შემორჩენილა მხოლოდ სასახლის ბაღი, რომელსაც ახლა ბოტანიკურს უწოდებენ. სხვაგან პ. იოსელიანი ამბობს, რომ თბილისის სამასი ბაღიდან საუკეთესოა ქართველ მეფეთა ბაღი, რომელიც ლეღვთა ხევშია გაშენებული, ბოტანიკურს უწოდებენ და ხანინა განაგებსო.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი აღნიშნავს წიგნში „ბოტანიკა საქართველოში“, ეს სასახლის ბაღი, თბილისის სანახების იმდროინდელი რუკის მიხედვით, სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ამჟამად განლაგებულია თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი.

1714 წელს, — განაგრძობს ნ. კეცხოველი, — ვახტანგ მეექვსემ დაწერა წიგნი ზეთების ნარევებისა და ქიმიური გარდაქმნების შესახებ. ამ ნიგნში, კერძოდ, ნათქვამია: ქაფური ხის ფისია. ნაყოფის მომცემი ქაფურის ხე მეც მქონდა. ეს ინდური ხეაო. სხვა პარაგრაფებში ჩამოთვლილია ეგზოტიკურ მცენარეთა თესლი და ნაყოფი, რომლებსაც წამლების დასამზადებლად იყენებდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შარდენი 1671 წელს იხსენიებს უკვე ზრდასრულ ბაღს, რომლის კარგ მდგომარეობას სხვა ავტორებიც ადასტურებენ, ასეთი ბაღის შექმნას კი, სულ ცოტა, 50 წელი დასჭირდებოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის ახლანდელი ბოტანიკური ბაღის შექმნის შემდეგ სამსაუკუნე-ნახევარი მაინც გასულა.

შემდგომში ამ ბაღის ბეჯი სხვადასხვაგვარად წარმომართა. აღა მაჰმადხანის შემოსევის ას, როცა თბილისი ცეცხლსა და მახვილს მისცეს და ფასდაუდებელი ისტორიული დოკუმენტები და მატერიალური კულტურის ძეგლები დაიღუპა, ძლიერ დაზიანდა ციხის ბაღიც.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ბაღს ოფიციალურად ეწოდა „თბილისის სახაზინო ბაღი“, ხოლო 1845 წლიდან — „თბილისის ბოტანიკური ბაღი“.

1883 წელს ბაღის ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი ფლორის ცნობილი მცოდნე, გამოჩენილი ბოტანიკოს-დენდროლოგი ი. მედვედევი. შემდგომში ბაღში სამუშაოდ მიიწვიეს თვალსაჩინო მეცნიერები ა. როლოვი, ა. ფომინი, ნ. მაქსიმოვი, ა. მაიოროვი, ვ. ალექსანდროვი, პ. ფუკოვსკი, დ. სოსნოვსკი, ლ. დეკაპრილევიჩი და სხვები, მაგრამ მეცნარეთა ინტროდუქციის სამუშაოები ნელა მიმდინარეობდა სათანადო ფინანსების უქონლობის გამო.

ბაღის ნამდვილი განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. მას გადაეცა მომიჯნავე ვრცელი ტერიტორია ახალი გეოგრაფიული ნაკვეთების შესაქმნელად. ინტენსიურად გაჩაღდა სამეცნიერო მუშაობა, გაიზარდა მეცნიერთა ადგილობრივი ეროვნული კადრები. მაგალითად, ბოტანიკურ ბაღში მუშაობდნენ მეცნიერები ზ. ყანჩაველი, კ. ბახტაძე, ლ. ყანჩაველი, ნ. კეცხოველი ვ. გულისაშვილი, ლ. ჯაფარიძე, ვ. მენაბდე, დ. ბეჟანიშვილი, ი. ლომოური, ლ. ქემულარია-ნათაძე, ალ. მაყაშვილი და სხვ.

თბილისის ბოტანიკური ბაღი დიდ სამეცნიერო ბაზად გადაიქცა. ახლა ბაღის კოლექციაშია მრავალი სახეობის მცენარე. 156 ჰექტარზეა გადაჭიმული ბაღის განყოფილებანი და ნაკვეთები. იგი მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 195 ბოტანიკურ დაწესებულებას უცვლის სათესლე ფონდსა და სამეცნიერო ლიტერატურას. მათ შორის არის ინგლისის სამეფო, ვაშინგტონის, პრაღის, დრეზდენის, რომის, ტურინისა და სხვა ბოტანიკური ბაღები.

ვეცნობით ბაღის განყოფილებათა მუშაობას. ხე მცენარეთა ინტროდუქციისა და სელექციის განყოფილებას მრავალი ახალი ექსპონატი შეემატა. უკვე ოცდაათამდე სახეობის აღმოსავლურ-აზიური ნეკერჩხალი აქვს. ბაღის პირობებში პირველად გაიხარა ძალზე საინტერესო ხემ ევოდიამ. აქ ასამდე სახეობის კუნელის კოლექციაა. ამ ხის სიმაღლე ოც მეტრს აღწევს. ეს მცენარე იმითაც არის საინტერესო, რომ მისი თავისებური გემოს მქონე ნაყოფი იჭმევა.

ბაღში დგას ბუნებაში ძალზე იშვიათი მესამეული პერიოდის გინკგო. ეს ხე ორმოც მეტრამდე იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი წიწვოვან ხეებს განეკუთვნება, ტოტების კენწეროებში თავისებური ფოთლები აქვს. მისი თესლი იჭმევა და გემოთი ნუშს მოგვაგონებს.

ახლა ბაღში სცდიან ხეს — ფარგეზის კატალპას. მისი სამშობლო აღმოსავლეთი აზიაა. ეს მცენარე ძალზე ლამაზია ყვავილობის დროს, როცა უზარმაზარ მეწამულ ყვავილებს გამოიღებს ხოლმე.

ეგზოტიკური მცენარეების ინტროდუქციის გარდა განყოფილებაში ადგილობრივ დენდროლოგიურ ფლორაზეც მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი სახეობაა ბიჭვინთური ფიჭვი. იგი კარგად შეეგუა აქაურ კლიმატს. ხის სიმაღლე ოცდაათ მეტრს აღწევს. ამჟამად თბილისის დენდროფლორის შესწავლაზე მუშაობენ ქალაქის პერსპექტიული გამწვანების თვალსაზრისით.

დიდად საინტერესოა დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის განყოფილება. აქ სწავლობენ როგორც კულტურულ, ისე ველურ მცენარეებს. ველური ფლორის საცდელ სავალელექციო ნაკვეთზე სამასორმოცდაათამდე სახეობის დეკორატიული მცენარეა, მათ შორის ნახავთ ველურ მცენარეებს, რომლებიც გადაშენების გზაზეა და წითელ წიგნშია შეტანილი. ეს არის იორდასალამი, შროშანები, შაფრანი, უცუნა, ერიანტუსი...

დიდად საინტერესოა ბაღის ნაკვეთი, სადაც ათასამდე სახეობისა და ჯიშის ვარდი ხარობს. მათ შორის ნახავთ ისეთ ძვირფას ჯიშებს, როგორიც არის კუინ ელიზაბეტი, ფრენსის უილარდი, ექსცელზა, მისტერ ლონი და სხვ. ამ ნაკვეთზე თანამშრომლებს ახალი ჯიშის ვარდებიც გამოჰყავთ. კოლექციას შეემატა ორმოცამდე სახეობის მინიატურული ვარდი, რომლებიც აქამდე თბილისში არ ყოფილა. მეცნიერმა თანამშრომელმა ჟუჟუნა ავალიშვილმა გამოიყვანა „ხვიარა ვარდის“ ახალი ჯიში.

ხვიარა ვარდმა, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთხელ ყვავილობს სავეგეტაციო პერიოდში, აქ ორჯერ იყვავილა. განყოფილებაში კულტურული დეკორატიული ყვავილების დიდი კოლექცია აქვთ. აქ ნახავთ იორდასალამს, ხმალას, ორასამდე სახეობის გეორგინებს, ოთხმოცდაათი სახეობის ზამბახს.

ამ ბოლო წლების მანძილზე ძალზე პოპულარული გახდა სამკურნალწამლო მცენარეების განყოფილება, რომელსაც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო კახელაძე ხელმძღვანელობს. აქ ერთ ნაკვეთზე თავმოყრილია სამკურნალწამლო მცენარეების დიდი კოლექცია. აქვთ ახალი ნაკვეთიც, სადაც ველურ სამკურნალო ბალახებს თესავენ. ახლა განყოფილებაში ამუშავებენ ერთ მთავარ თემას, რომელიც დაკავშირებულია ეპითელიუმის ქსოვილების რეგენერაციასთან. ახლა სწავლობენ რთულ დაავადებას — სორიაზს. მთელ სამკურნალო პროცედურას მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული ნედლეულით ატარებენ. სამკურნალო ბალახს, რომელსაც განყოფილებაში სწავლობენ, ახმობენ და ზამთრისთვის ინახავენ.

წელს განყოფილების ექსპედიციები მოეწყო სვანეთში, ოსეთში, ბორჯომის ხეობაში, აგრეთვე თბილისის ახლო-მახლო რაიონებში.

ჩვენ ვისაუბრეთ ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ისტორიასა და საქმიანობაზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ასჯერ მოსმენილს ერთხელ ნანახი სჯობს. ამიტომ, ძვირფასო მკითხველებო, თუ ჯერ არ ყოფილხართ თბილისის ამ ზღაპრულ კუთხეში, აუცილებლად ნახეთ მცენარეთა ეს მწვანე სამეფო.

ვლ. გინზბურგი.



„ნუნისის“ სიკეთე

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია სამკურნალო წყლებით. მათ შორის საყურადღებოა „ნუნისი“, რომლის ბადალი არ არის რესპუბლიკაში კანის დაავადებათა განკურნების საქმეში. იგი ცნობილია ბალნეოლოგიური კურორტის სახელით. მდებარეობს ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონის სადგურ მოლითიდან 7 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ნუნისელის მარჯვენა ნაპირზე. ამბობენ, ნუნისი „მუნისაგან“ წარმომდგარაო, ხალხს მცირედი კორექტივი შეუტანია, ამ წყლისათვის „მუნისი“ არ უკადრებია და ნუნისი დაურქმევიაო.

ნუნისის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ვინ და როდის გამოიყენა იგი სამკურნალოდ, არავინ იცის. ეს ჯადოსნური წყალი თითქოს განგებ მოუმალავს ბუნებას ნაძვნარისა და ფიჭნარის ღრმა ხეობაში, სადაც პატარა მდინარე ნუნისელა მოჩხრიალებს. დროთა განმავლობაში ადამიანმა შეძლო ამ შესანიშნავი წყლის თვისებების გამოკვლევა და თავის სამსახურში ჩააყენა. წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეების კორომები აქ ჯადოსნურ სანახაობას ჰქმნის, მინერალური წყალიც რომ არ ყოფილიყო, ამ მშვენიერებით მოხიბლული ადამიანი მაინც გადაალცევდა მას დასვენების კერად.

ნუნისის წყლის სამკურნალო თვისებების მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. 1932 წელს პირველად კლინიკური დაკვირვება სამკურნალო წყლის მოქმედებაზე ჩაატარეს პროფესორებმა ა. ჯავრიშვილმა და გ. ფხალაძემ, შემდეგ კი პ. ბუაჩიძემ, კ. ტყეშელაშვილმა, თ. საყვარელიძემ, ა. გოგიშვილმა.

საკურორტო სეზონი ნუნისში 20 მაისიდან იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება.

ნუნისი არა მარტო ბალნეოლოგიური, არამედ კლიმატური კურორტიც არის. იგი კურნავს ეგზემით, ფსორიაზით, კანის ქავილით დაავადებულებს.

— შეიძლება ითქვას, რომ მართლაც სასწაულმოქმედია ნუნისის წყალი. ამაში დაგვარწმუნა პრაქტიკულმა დაკვირვებამ, — ამბობს კურორტის მთავარი ექიმი ავთანდილ ჩიქვანაია. ყოველმხრივ ვცდილობთ კულტურული მომსახურება გავუწიოთ დამსვენებლებს. თუ წაიკითხავთ შთაბეჭდილებათა წიგნს, იქ ნათლად არის ასახული ის დადებითი თუ უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც შეხვდებით კურორტ ნუნისში.

— ნუნისის წყალი არაჩვეულებრივია. ჩემს შვილს აშკარად ეტყობა გამოჯანმრთელება, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას, კურორტი კეთილმოწყობელია. საჭიროა ყველამ, კერძოდ ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომაც დროულად მიიღონ ზომები მისი კეთილმოწყობის დაჩქარებისათვის, — წერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი მანანა ასათიანი. ამავე აზრს იზიარებენ მეცნიერი მუშაკი დ. ცაბაძე და მარნეულის საავადმყოფოს ექთანი თ. თაბუკაშვილი.

დამსვენებლები და მომსახურე პერსონალიც დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ვერა და ვერ დამთავრდა სამანქანო გზის მშენებლობა. ლაპარაკია 4 კილომეტრიან მონაკვეთზე. რამდენი საჩივარი, განცხადება და თხოვნა დაიწერა ამ საკითხზე, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა. მაღაზიის მოვალეობას ასრულებს „კიოსკი“, სადაც ვერ ნახავთ დამსვენებლისათვის საჭირო ვერავითარ საქონელს, დიეტური სასადილო ხშირად არ მარაგდება პროდუქტებით. არის სხვა მოუგვარებელი საკითხები, რომლებსაც დროულად უნდა გადაწყვეტა.

კურორტის პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს საბაზისო შენობის გაფართოებას, სპორტული ბაზის ამოშენებას.

ნუნისი მეტად საჭირო კურორტია. იგი ისე უნდა მოეწყოს, როგორც მისი უნიკალური თვისებების წყალს, თვალწარმტაც ბუნებას და ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ეკადრება.

ლ. გვაზავა,
კურორტ ნუნისის დამსვენებელი.

ივრის პირეთში

რაიონის მშრომელთა თუ ჩამოსული სტუმრების საყვარელ თავშეყრის ადგილია თიანეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. შესანიშნავი ბუნება აქ დიდად უწყობს ხელს შეიქმნას გართობისა და თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებისათვის საჭირო პირობები.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა პარკის დამშვენება-მოწყობისათვის. ყმაწვილებისათვის არის სხვადასხვაგვარი ატრაქციონები, მაგიდის ჩოგბურთი. საღამოობით და უქმე დღეებში სისტემატიურად იწყობა ადგილობრივი რადიოგადაცემები, სადღესასწაულო დღეებში კი კონცერტები.

დამსვენებელთა მადლობას იმსახურებენ პარკის დირექტორი, სამამულო ომის ვეტერანი გიგა ცომაია, პარკის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი სერგი ფოფხაძე, აგრეთვე ვეტერანი აქტივისტები შალვა ხელაძე, დავით წიკლაური და ზურაბ მექვაბიშვილი.

მომავალში პარკი უკეთ მოემსახურება თავის სტუმრებს. განხორციელდება ესტრადის აღდგენა-რეკონსტრუქცია, აქვე სოფლის ძველი ყოფითი დეტალების მოყვარულთა თვალის საამებლად ჩაიდგმება წისქვილი, რომლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია, პარკის მახლობლად აშენდება საკურორო აუზი.

გ. ხუციშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მაყურებელს მოქწონა

ამ დღეებში ონის სარაიონო კულტურის სახლის სცენაზე თავისი სპექტაკლები უჩვენა თბილისის ახალგაზრდულმა თეატრალურმა სტუდიამ „მეტეხმა“. მაყურებელს მოეწონა „ქართული ნოველების საღამო“ და „მწუხარე სახის რაინდი“ (სერვანტესის მიხედვით). მეტეხის თეატრ-სტუდიის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სანდრო მრევლიშვილმა ონელებს საგაისოდაც აღუთქვა ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობა რაიონის მოსახლეობის ფართო მომსახურების მიზნით.

მეტეხელების შემდეგ ონის სცენაზე თავისი დადგმები წარმოადგინა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. მაყურებელმა გულთბილად მიიღო მ. ბერაძის „მზე ნეკერჩხლის ტყეში“ (დადგმა ო. ცერაძისა) და აკ. გეწაძის „ბერბიჭა“ (დადგმა შ. ჩერქეზიშვილისა).

ნ. დუშუაშვილი.

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

უსიტყვო ხელოვნების მეტყველი ძალა

საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრს ხოტბა არ აკლია. ქართველმა მიმოსვლებმა სახელი გაითქვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მარტო ის რად ღირს, რომ „ელექტრა“ ათენში წარმოადგინეს და მას მთელი ელადა უკრავდა ტაშს.

შინაარსის გადმოცემის საოცარი უნარი, სინაზე, მრავალფეროვნება, გრძნობათა ელვარება— აი, რა იკითხება ამ უძველესი წარსულის მქონე ხელოვნებაში, რომელიც მოძრაობებით ხატავს ადამიანთა განწყობილების ფრთოსანს ნიუანსებს. მხოლოდ ჟესტით, მრავალსმეტყველი მიმიკით მეღაენდება ყველაფერი ის, რაც ზოგჯერ სიტყვითაც ძნელად გადმოიცემა.

დასის მთავარი ღირსება მონოლითურობით ვლინდება. მთელი ანსამბლი მოხდენილად მოძრაობს ერთი ტაცივით. მოძრაობა უაღრესად ემოციურია, ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარეობს. ეს ფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით რომ ეს მოძრაობა, პრინციპულად, შინაარსსაც გადმოსცემს და უაღრესად მხატვრულიც არის.

ქართული მიმის თეატრის გარეშეა, როდესაც ამ ჟანრის ინ-ის იყო საფუძველი უნდა ჩაპყროდა, პატივი მხვდა სტუდიელთა მისაღებ გამოცდებს დავსწრებოდი. ახალგაზრდები დიდი სიყვარულით მოვიდნენ, ყველას სურდა ორიგინალური ჟანრის დაუფლება.

არ მეგონა, თუ ამდენი ქალიშვილი მოვიდოდა გამოცდაზე. ჩვენ მხოლოდ საუკეთესონი შევარჩიეთ და ბევრი მთგანი უკვე სცენის ჭეშმარიტი ოსტატია.

პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელმა ამირან ზალიკაშვილმა ერთ მთგანზე შეაჩერა ჩემი ყურადღება. იგი იმდენად მოკრძალებული იყო, უთუოდ გაჭირდებოდა მასში მომავალი ტალანტის ამოცნობა.

— თქვენი გვარი?

— კირა მებუკი, — გვიპასუხა ქალიშვილმა და სახეზე სიწითლემ გადაუარა.

— კეთილი, ჩვენთან ერთად იმეცადინებთ, — დინჯად თქვა ხელმძღვანელმა და მე მომბრუნდა — მალე ნახავთ, რა მსახიობი დადგება მისგან.

და მართლაც, კ. მებუკე ამ თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა.

რაღაც განსაკუთრებული სითამამე, უაღრესად ზრიანი მოძრაობა, მიზანდასახულობა — ყოველივე ეს შემოსილია ეროვნულ ინშან-თვისებებით. დიახ, ეროვნულით, რადგან სხვაგვარად დიდ ხელოვნებაზე მსჯელობა არ შეიძლება. ქართული თეატრალური ტრადიციების პატივისცემა ამ ახალგაზრდული დასის დამახასიათებელი თვისებაა.

კ. მებუკის პლასტიკა იშვიათია. მისი სხეული, მისი თითები მეტყველებს, შინაგანი მგზნებარეობა თვალებში ნაპერწკლებივით უელავს. ყველა ეს თვისება (და, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს) ეხმარება მსახიობს რთული მონოლოგების პლასტიკის ენით წაკითხვაში.

იქნებ აჯობებდა დრამის თეატრში ეცადა ბედი? მან ხომ თეატრალური ინსტიტუტი სწორედ დრამის განხრით დაამთავრა? ვინძლო, ზოგიერთს მოეჩვენოს თითქოს ჯიუტობდეს, რაღაც „პრინციპის“ გულისათვის არ ილტობდეს პანტომიმის ხელოვნებას? ჩვენი აზრით, მსახიობის გზა შეგნებულად დაუკავშირდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ სიახლეს. ახალგაზრდობამ, მათ შორის კ. მებუკემაც, ამ ჟანრში ცნეს სრულიად განსხვავებული ორიგინალური ხელოვნება. თეატრალური კრიტიკოსი ი. ყუარაც სწორედ ასეთ აზრს ავითარებს გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში“. რეცენზიაში ვკითხულობთ: „ეტყობა, არის რაღაც კანონზომიერება იმაში, რომ დიდად ნიჭიერი ჰატიორი მიდის პანტომიმის ხელოვნებაში, სადაც ხელების მოძრაობა ერთობ უნიკალური ფორმით ერწყმის ყოველივე იმას, რაზეც მსახიობს ძალუძს ელაპარაკოს მსოფლიოს“.

შესანიშნავია „ელექტრა“. საუკუნეთა მიღმიდან მოვიდა ეს ტრაგედია ჩვენამდე და თან მოიტანა ელადის ძველი კულტურა, მხატვრული სიტყვის ტიტანური ძლიერება, დიდი სულიერი ძვრები. და რაოდენ დიდი გაბედულება იყო საჭირო, რომ მისთვის ჩამოეშორებინათ „სიტყვა“ და მხოლოდ გარეგანი გამომსახველობითი ხერხების იმედზე დაეტოვებინათ.

ელექტრა კ. მებუკემ განასახიერა, ორესტი — ა. შალიკაშვილმა. მათ შეძლეს ტრაგიკული მოვლენის სრულიად ახალი კუთხით დანახვა. ქორო მოლიანად ეპასუხება ქართულ თეატრალურ ტრადიციას; იგი წარმოდგენილ უბრალო ფონი კი არა, მისი განუყრელი ნაწილია.

გაზეთი „ლენინგრადსკაია პრავდა“ წერს: „მთავარი როლის შემსრულებელნი კ. მებუკე და ა. შალიკაშვილი არაჩვეულებრივ სცენურ ტემპერამენტსა და ბრწყინვალე სცენურ ოსტატობას ავლენენ“.

როდესაც სპექტაკლ „ოქანას ჯელ ზარს“ მიმოიხილავს ჟურნალი „ლიტერატურნაია ეიზნი“, ნაზს უსვამს ახალგაზრდა მსახიობის გარდასახვის უნარს, უშრეტ ენერგიას: „სპექტაკლის პირველ სცენაში ზინა პარტნოვა — კ. მებუკე წარმოგვიდგება როგორც მხიარული, უდარდელი გოგონა, რომელიც ომის პირველი დღიდანვე პარტიზანებთან მიდის, მსახიობი სცენიდან სცენაში გვიჩვენებს გმირის სულიერ დაფაქიზებას, მკაცრ სახალხო შურისმაძიებლად წარმოგვიდგება“.

და აი, ახლა ჩვენ წინაშეა დასრულებული მსახიობი. ჩემი მტკიცე რწმენით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის წარმატებებში, განსაკუთრებით იმაში, რომ მან საქართველოს კომკავშირის პრემია დაიმსახურა, მცირე წვლილი როდი მიუძღვის კ. მებუკეს. ახალგაზრდა მსახიობის უდავო წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ მან შარშან საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის „წეროებში“ პრემია დაიმსახურა.

ვფლავ ვიგორნებ იმ დღეს, როდესაც სტუდიელი ახალგაზრდები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. ამბირდან კი, რაც დრო გავა, წარსულის ეპიზოდებს მეტი ნათელი მოეფინება. განსაკუთრებით მოვიგონებ მოკრძალებულ გოგონას—კ. მებუკეს, მის ნათელ თვალებს, დიდ მონდომებას და შრომისმოყვარეობას. დიახ, შრომისმოყვარეობას, რამაც უსიტყვო ხელოვნებას მეტყველების უნარი შესძინა.

თ. ანთაძე,
თეატრმცოდნე.

• • •

სურათზე: კირა მებუკე.

სახლი პუშეჩნაიას ქუჩაზე

ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლი 50 წლისაა

ამ სახლს პუშეჩნაიას ქუჩაზე საინტერესო ისტორია აქვს. აქ იდგმებოდა რუს კლასიკოსთა პიესები, ამ სახლის სცენაზე თამაშობდა სუმბათაშვილ-იუჟინი, აქ ორჯერ გამოვიდა ლენინი —1920 წლის 27 იანვარს სახალხო მეურნეობის სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობაზე და იმავე წლის 1 მარტს სამედიცინო-სანიტარიული შრომის მუშაკთა II ყრილობაზე...

1930 წელს ლუნაჩარსკის თაოსნობით აქ დაარსდა ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლი, რომლის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ტოლსტოის, კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ლ. სობინოვის, ვ. მეიერხოლდის, ე. კაჩალოვის და სხვათა სახელებთან.

მოსკოველებს კარგად ახსოვთ რა გულთბილი შეხვედრები მოუწყვეს ამ სახლში ლეგენდარულ პაპანინელებს, პოლ რობსონს, ბერტოლდ ბრეჰტს, ლ. სტაკოვსკის, ი. სტრავინსკის...

ჩვენთან საუბარში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ ქალაქის სახალხო არტისტმა პროფესორმა მ. თუმანიშვილმა განაცხადა:

— ჩემთვის სასიამოვნოა, რომ მეგობრებმა პატივი დამდეს და ასეთი ნდობა გამომიცხადეს. ჩემამდე ხომ ამ პოსტზე ფ. კონი, ი. მოსკვინი, ვ. ბარსოვა, ო. ლეპეშინსკაია მოღვაწეობდნენ. ჩვენ ძალზე დავალებული ვართ მათგან.

ვამაყობთ, რომ ამ სახლში წლების განმავლობაში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა შეხვედრები ქართული ხელოვნების მუშაკებთან; აქ იმართებოდა კ. მარჯანიშვილის, ა. ხორავას, ა. ფასაძის, ვ. ანჯაფარიძის, თ. წერეთლის, ქ. ჯაფარიძის საღამოები.

მართალია, დედაქალაქში საკმარისად არის შემოქმედებითი კავშირების დარბაზები თუ სასახლეები, მაგრამ სახლი პუშეჩნაიას ქუჩაზე იყო და რჩება მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის მთავარ ნავსაყუდელად.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ჭადრაკის დაფებთან

ბრძოლდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. მეცხრე ტურის შემდეგ გადადებული პარტიები გათამაშდა. ამ ასპარეზობათა მონაწილე საქართველოს სპორტსმენების შედეგები ასეთია:

დნეპროპეტროვსკი. სტურუა პოპოვთან გადადებული შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ლიდერობს ვასიუკოვი — 6,5 ქულა 9 შესაძლებლიდან.

კრასნოდარი. უბილავა პლატნოვს დაუზავდა. ყველაზე მეტი — 6-6 ქულა აქვთ ლუუტიანს, პალატნიკს და ცეშკოვსკის.

კრასნოიარსკი. აქ გამართული ტურნირში დაწინაურდნენ დორფმანი და ფსახისი — 6-6 ქულა. თბილისელ გუფელს, კუზნეცს და პოლოვიდინს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

ტალინი. მაია ჩიბურდანიძე ელვესტთან შეხვედრა ყაიმით დამთავრა. ლიდერობენ ოსნოსი და ჩეხოვი — 6-6 ქულა. ჩიბურდანიძემ და დვორეცკიმ 5,5-5,5 ქულა დააგროვეს.

მოსკოვი. ქალთა ანალოგიური ტურნირები გრძელდება ბელგოროდსა და კიშინიოვში. გუმეზეცხრა ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ ტ. ბელოვა, ზუბოვა, ლელეჩკი, ფომინა და მ. ზაბეცევა. კიშინიოვში მიმდინარე ასპარეზობაში ერთპიროვნული ლიდერია თბილისელი ჭ. მელაშვილი — 7,5 ქულა.

• •

მეოცე ტურის შედეგები

ბუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის ბოლო მაჯრი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ და მოსკოვის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა „ლოკომოტივის“ გამარჯვებით — 3:0.

ახლა კი გავეცნოთ, თუ რა გორი სატურნირო მდგომარეობა აქვთ გუნდებს გათამაშების ცხრილში:

	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.
„სპარტაკი“	12	6	2	30-12	30
„დინამო“ კ.	13	3	4	41-14	29
ცსკა	9	7	4	22-18	25
„ზენიტი“	9	6	5	31-28	24
„დინამო“ თბ.	9	5	6	30-18	23
ასკ	8	6	6	23-20	22
„შახტიორი“	8	6	6	28-27	22
„დინამო“ მნ.	6	10	4	25-24	22
„ჩერნომორ.“	8	5	7	20-23	21
„არარატი“	5	9	6	21-22	19
„ყაირათი“	6	6	8	19-29	18
„ნეფტჩი“	5	7	8	18-23	17
„დინამო“ ბ